უწყვეტი განათლების პრობლემები სოციალური სამუშაოს მაგისტრატურის კურსდამთავრებულთათვის

თამრიკო ემრაშვილი

ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური მუშაობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სოციალური მუშაობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: შორენა საძაგლიშვილიMSW; PhD;

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2015

განაცხადი

როგორცწარდგენილისადისერტაციონაშრომისავტორი, ვაცხადებ, რომნაშრომიწარმოადგენსჩემსორიგინალურნამუშევარსდაარშეიცავსსხვაავტორებისმ იერაქამდეგამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლადმიღებულანდასაცავადწარდგენილმასალებს, რომლებიცნაშრომშიარარისმოხსენიებულიანციტირებულისათანადოწესებისშესაბამ ისად.

თ. ემრაშვილი. 06.07.2015

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომში განხილულია, სოციალური სამუშაოს მაგისტარტურის კურსადმთავრებულთათვის, უწყვეტი განათლების პრობლემები. ახსნილია თუ რას ნიშნავს უწყვეტი განათლება, განხილულია საერთაშორისო გამოცდილება და უწყვეტი პროფესიული განვითარების მნიშვნელობა სოციალური სამუშაოს სფეროში მომუშავე პრაქტიკოსებისათვის. რომლის მიზანიც იყო უწყვეტი განათლების პრობლემების აღმოჩენა და მისი აღმოფხვრის გზების ძიება. კვლევა ჩატარდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალური სამუშაოს მაგისტრატურის კურსდამთავრებულებთან. გამოვიკითხეთ 59 სოციალური მუშაკი,სადაც შედიოდნენ როგორც სოციალური სამუშაოს სფეროში მომუშავე ასევე პროფესია შეცვლილი სოციალური სამუშაოს მაგისტრატურის კურსდამთავრებულები.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ სოციალური სამუშაოს მაგისტრატურა დამთავრებულ პრაქტიკოსებს, სურვილის მიუხედავად, ვერც დამსაქმებლები, სახელმწიფო და ვერც უნივერსიტეტები ვერ უზრუნველყოფენ სათანადო პროფესიული ზრდის პროგრამებით. გამოიკვეთა კონკრეტული საჭიროებები სოციალურ მუშაკთა პროფესიული სრულყოფისათვის.

ძირითადი საძიებო სიტყვები:უწყვეტი განათლება, პროფესიული ზრდა, პროფესიული განვითარება, სოციალური მუშაობა.